საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 2785-02
09/10/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N2122-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის №6 და 2017 წლის 7 ოქტომბრის N10 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2017 წლის 9 ოქტომბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას **ხათუნა ხაბულიანი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი